თსსა აცხადებს მიღებას არქიტექტურის ფაკულტეტის შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

1. სამოქალაქო არქიტექტურა --- პროგრამის ხელმძ. პროფ. ნ. ამაშუკელი პროფ. ნ. ქუთათელაძე (25 ადგილი)
2. ურბანული არქიტექტურა -- პროგრამის ხელმძ. პროფ. ნ. ქუთათელაძე (15 ადგილი)
3. ლანდშაფტური არქიტექტურა --- პროგრამის ხელმძ. ასოც. პროფ. თ. ხიმშიაშვილი (7 ადგილი)
4. არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი -- პროგრამის ხელმძ. ასოც. პროფ. თ. ჯორჯაძე (10 ადგილი)
5. ინტერიერის დიზაინი -- პროგრამის ხელმძ.ასოც. პროფ. ლ.ჩლაიძე (10 ადგილი) თსსა -

არქიტექტურის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების პირობები:

ეროვნული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში აბიტურიენტს ეძლევა უფლება აირჩიოს ერთდროულად რამდენიმე სამაგისტრო პროგრამა და შემოიტანოს შესაბამისი საბუთები, კერძოდ:

1. პორტფოლიო (საკურსო, სადიპლომო, და სხვა შემოქმედებითი ნამუშევრები - რაოდენობა 15-20 გვერდი)
2. ბაკალავრის დიპლომი, ან დიპლომის ასლი, ან ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
3. CV;
4. მოტივაციის წერილი (მინიმუმ 2 გვერდი);
5. დახასიათება (პედაგოგის, ან სამუშაო ადგილიდან);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. 2 ფოტოსურათი 3X4;
8. საიდენტიფიკაციო კოდი (ეროვნული გამოცდების კოდი);
9. მყარი დისკი რომელზედაც ჩაწერილი იქნება ფოტოსურათები და ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამოქალაქო არქიტექტურა - აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხოურ ენაში (BII დონე) და სპეციალობაში. სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების, უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით(CV, მოტივაციის წერილი, სარეკომენდაციო წერილი, ნიშნების ფურცელი).

ურბანული არქიტექტურა - აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხოურ ენაში(ინგლსურში, გერმანულში ან ფრანგულში BII დონე) და სპეციალობაში. სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების, უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით (CV, მოტივაციის წერილი, სარეკომენდაციო წერილი, ნიშნების ფურცელი).

ლანდშაფტური არქიტექტურა ---აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინის, აგრონომიის, ეკოლოგია/გარემოს მცოდნეობის, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხოურ ენაში(ინგლსურში, გერმანულში ან ფრანგულში BII დონე) და სპეციალობაში. სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით (CV, მოტივაციის წერილი, სარეკომენდაციო წერილი, ნიშნების ფურცელი)

არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინი - აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის, ანდა ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხო ენასა: (BII დონე) . სპეციალობაში აბიტურიენტის უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით (CV, მოტივაციის წერილი, დახასიათება).

ინტერიერის დიზაინი --აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან აბიტურიენტები, რომელთაც გააჩნიათ არქიტექტურის, ანდა ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო და თსსა-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გამოცდები უცხო ენასა: (B II დონე). სპეციალობაში აბიტურიენტის უნარების შეფასება ხდება წარმოდგენილი პორთფოლიოთი და თანდართული დოკუმენტაციით (CV, მოტივაციის წერილი, დახასიათება).

სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები უფლებამოსილი არიან დამატებით, (ან ყველა აბიტურიენტთან ერთად, ან ცალცალკე- ინდივიდუალურად) დანიშნონ გასაუბრება, ან გამოცდა კლაუზურის სახით.

საკონტაქტო პირი - ლია ძიძიგური (ტ. 568 891 827)